

## თავი 7 შენი კედლები – სხვისი სახლი

ქალაქის ქუჩები შეტყუებული, შეუხედავი ორ ან სამსართულიანი სახლებისაგან შედგებოდა. ჯონათანმა შენიშნა ერთი დიდი, კოხტა სახლი, რომელიც დანარჩენებისაგან მოშორებით, მდიდრულ მწვანე მდელოზე იდგა. სახლი კარგად იყო აშენებული, მას მიმზიდველი ღობე და ახლადშეღებილი თეთრი კედლები ამშვენებდა.

ჯონათანს ცნობისმოყვარეობამ წასძლია და იგი სახლს მიუახლოვდა. იქვე მძიმე ხელკეტებით შეიარაღებული ადამიანები შეკრებილიყვნენ, რომლებიც სახლს უკანა მხრიდან უტევდნენ და მის წაქცევას ცდილობდნენ. ეტყობოდათ, დიდი ენთუზიზმით არ მუშაობდნენ, იმიტომ, რომ საქმეს ძალზედ ნელა და უხალისოდ ასრულებდნენ. იქვე, მოშორებით, ჭადარათმიანი, მუშტებშეკრული ქალბატონი იდგა. ის აშკარად უკმაყოფილო იყო იმით, რაც ხდებოდა. როდესაც კედლის ნაწილი ძირს დაეცა, ქალმა ხმამაღლა ამოიოხრა.

ჯონათანი მივიდა ქალბატონთან და ჰკითხა

– ეს სახლი კარგად აშენებული ჩანს. ვინ არის მისი მფლობელი?

– კარგი კითხვაა! – გააფთრებით წამოიძახა ქალმა. – მეგონა, რომ ეს სახლი ჩემი იყო.

– გეგონათ რომ თქვენი იყო? თავისთავად უნდა იცოდეთ, როდესაც ფლობთ რამეს, – თქვა ჯონათანმა.

სახლის უკანა კედელი მთლიანად ჩამოინგრა და მიწა შეაზანზარა. ქალმა საცოდავად გახედა მტვრის ღრუბელს, რომელიც ზვირთივით ამოვარდა ნანგრევებიდან.

– ყველაფერი არცთუ ისე მარტივია, – უპასუხა ქალმა, რომელიც ცდილობდა ხმაური ყვირილით გადაეფარა, – როდესაც რაღაცა გეკუთვნის, შენ მას განკარგავ, ასე არ არის? მაგრამ ამ სახლს ვინ განკარგავს? აქ ლორდები განაგებენ ყველაფერს – შესაბამისად, ამ სახლის ნამდვილი მფლობელებიც ისინი არიან. მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, რომ ეს სახლი ჩემი აშენებულია. ლურსმნიდან დაწყებული და ფიცრით დამთავრებული – ყველაფერი ჩემი ნაყიდაა.

აღელვებული ქალი მიუახლოვდა ბოდს, რომელიც ორიოდე წუთის წინ მთელ კედელს აკავებდა და მასზე მიმაგრებული ფურცელი ჩამოგლიჯა.

– ამ შეტყობინებას ხედავთ? – ქალმა ქაღალდი დაჭმუჭნა, ძირს დააგდო და ფეხით გასრისა, – ხელისუფლება ადგენს, თუ რისი აშენების უფლება მაქვს, როგორ და როდის უნდა ავაშენო და რაში უნდა გამოვიყენო. ახლა კი მეუბნებიან, რომ ჩემი აშენებული უნდა დაანგრიონ. როგორ ფიქრობთ, ვარ მე ამის შემდეგ მფლობელი?

– კი მაგრამ, თქვენ ხომ ამ სახლში კიდევ იცხოვრებდით, – მოკრძალებით თქვა ჯონათანმა.

– ვიცხოვრებდი მანამაღე, სანამ შევძლებდი კერძო საკუთრებაზე გადასახადის გადახდას. მე რომ არ გადამეხადა, ხელისუფლება ისე სწრაფად გამაპანდურებდა, რომ შემდეგი კითხვის დასმასაც ვერ მოასწრებდი, – ქალი განრისხებისგან გაწითლდა და სუნთქვაშეკრულმა განაგრძო: – სინამდვილეში არავინ არაფერს ფლობს. ჩვენ უბრალოდ ვქირაობთ საბჭოსგან მანამ, სანამ გადასახადს ვიხდით.

– თქვენ გადასახადს არ იხდიდით? – იკითხა ჯონათანმა.

– რა თქმა უნდა, ვიხდიდი ამ წყევულ გადასახადს, – თითქმის ყვირილით უპასუხა ქალმა, – მაგრამ ეს მათთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამჯერად, ლორდებმა გამომიცხადეს, რომ ჩემი სახლის გეგმა არ შეესაბამებოდა მათ გეგმას – „უზენაესთა“ გენერალურ გეგმას. სახლი დამიწუნეს და მომცეს ის თანხა, რამდენშიც თვითონ შეაფასეს ჩემი სახლი. ახლა კი სახლის მიწასთან გასწორებას აპირებენ იმისთვის, რომ ამ ადგილას ბაღი გააშენონ. შუა ბაღში კი უზარმაზარი ძეგლი დაიდგმება ერთ-ერთი მათგანის პატივსაცემად.

– კარგია, რომ ფული მაინც გადაგიხადეს, – თქვა ჯონათანმა, ერთი წამით დაფიქრდა და იკითხა, – არ ხართ კმაყოფილი?

ქალმა აღმაცერად გახედა ჯონათანს. – კმაყოფილი რომ ვყოფილიყავი, აქ პოლიციის ჩარევა არ დასჭირდებოდათ. ხოლო ის ფული, რაც მე გადამიხადეს, ჩემს მეზობლებს ჩამოართვეს. მათ ვინ აუნაზღაურებს? ლორდთა საბჭო მათ არ გადაუხდის!

ჯონათანი დაბნეული ჩანდა, თავი გააქნია და იკითხა: – თქვენ ამბობთ, რომ ეს ყველაფერი გენერალური გეგმის ნაწილია?

– აბა! გენერალური გეგმა! – გესლიანად თქვა ქალმა. – ეს იმათი გეგმაა, ვისაც პოლიტიკური ძალაუფლება აქვს. მე რომ პოლიტიკოსი ვყოფილიყავი, მეც შეეძლებდი სხვებისთვის ჩემი გეგმების თავზე მოხვევას. მაშინ სახლის აშენების მაგივრად უბრალოდ მივითვისებდი მას. ეს გაცილებით იოლია!

– მაგრამ გეგმა ხომ აუცილებელია ქალაქის სწორად დაგეგმარებისთვის? – იკითხა ჯონათანმა იმ იმედით, რომ რაღაც ლოგიკურ ახსნას მაინც მოუძებნიდა არსებულ ვითარებას, – თქვენ არ გჯერათ, რომ საბჭოს შეუძლია კარგი გეგმის შემოთავაზება?

ქალმა ხელი გაიშვირა ერთმანეთს შეტყუებული სახლებისკენ: – მიდი, საკუთარი თვალთ ნახე. ის, რაც უკვე აშენდა, გეგმაზე უარესია – უვარგისი, ძვირი და შეუხედავი.

ქალი მიუბრუნდა ჯონათანს და პირდაპირ თვალებში შეხედა.

– დაფიქრდი, ისინი აშენებენ სათამაშო მოედნებს, რომლებზედაც ათი მაყურებელიდან ცხრა თამაშის მსვლელობას თვალს ვერ მიადევნებს! მათი უხარისხო მშენებლობის გამო გაცილებით უფრო ძვირი ჯდება შენობების შეკეთება, ვიდრე ახალი მშენებლობის დაწყება. მათი დიდებული სხდომათა დარბაზის კარი კი მხოლოდ საპატიო სტუმრებისთვის არის ღია და არა მათთვის, ვის ხარჯზეც იგი აშენდა. ვინ შეადგინა გეგმა? ლორდებმა. მათ ქვაზე უკვდავყვეს საკუთარი სახელები, ხოლო ლორდების მეგობრებმა სოლიდური კონტრაქტები მიიღეს.

ქალმა ჯონათანს მკერდში თითი ატაკა და წარმოსთქვა:

– სულელური გეგმის გატარება მხოლოდ ძალით არის შესაძლებელი. ძალით კი ჩემს გულს ვერაფერს მოიგებს! – აღელვებულმა ქალმა ისევ სახლისკენ გაიხედა – მე მათ ვაჩვენებ სეირს!